

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
ინსტიტუციური განვითარების სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომში - უსკო) ინსტიტუციური განვითარების სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის უსკოს აპარატის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქციაა გრანტების მოძიება, სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

2. ინსტიტუციური განვითარების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების, უსკოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად.

2. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები

ინსტიტუციური განვითარების სამსახური:

- ა) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიას ან კომისიის თავმჯდომარეს;
 - ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - გ) აწვდის ინფორმაციას უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ტრენინგების, კონფერენციების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
 - დ) საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;
 - ე) საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
 - ვ) ამომრჩევლებისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;
 - ზ) კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლება;
- თ) გეგმავს და უზრუნველყოფს ტრენინგების და კონფერენციების ჩატარებას;
 - ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს გრანტების და სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროს მოძიებას;
 - კ) საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება;
 - ლ) ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაციის ხელშეწყობა;
 - მ) საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება;
 - ნ) საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
 - ო) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

3. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია უსკოს მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხითა და უსკოს თავმჯდომარის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

3. საარჩევნო პერიოდში სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, III კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებისაგან.

4. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსი

1. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებითა და სამუშაოთა აღწერილობით მასზე დაკისრებულ ამოცანების შესრულებას.

2. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უსკოს თავმჯდომარის მიერ.

3. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია უსკოს თავმჯდომარის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით, სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს უსკოს სხვა სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის) ხელმძღვანელი ან ამავე სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი.

5. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები

სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) კოორდინაციას უწევს სამსახურის ურთიერთობას უსკოს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უსკოს თავმჯდომარისა და ხელმძღვანელ პირთა დავალებებს;

დ) ანაწილებს დავალებებს სამსახურში შემავალ თანამშრომელთა შორის ფუნქციონალურ მოვალეობების მიხედვით, აძლევს ყოველდღიურ დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) უსკოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის თაობაზე;

ზ) მოთხოვნისთანავე იღებს ინფორმაციას სამსახურის თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) უსკოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ი) შუამდგომლობს უსკოს თავმჯდომარის წინაშე სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომაზე განსახილველი დადგენილების ან/და განკარგულებების პროექტებს;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უსკოს მიერ მიღებული აქტების ვიზირებას;

მ) შუამდგომლობს უსკოს თავმჯდომარის წინაშე სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ნ) სამსახურის თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოების ადმინისტრირების მიზნით, ამზადებს მათ სამუშაო აღწერილობას, რის მიხედვითაც ახდენს თითოეული თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას;

ო) გეგმავს გრანტების და სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროს მოძიებას;

პ) გეგმავს და უზრუნველყოფს ტრენინგების და კონფერენციების ჩატარებას;

ჟ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროექტებს და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების განვითარებას;

რ) აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ტრენინგების, კონფერენციების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციას უსკოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ;

ტ) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

6. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

1. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შემდგომში სპეციალისტი) არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით, უსკოს რეგლამენტით და სამუშაოთა აღწერილობით მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უსკოს თავმჯდომარის მიერ.

3. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არის უსკოს თავმჯდომარის და სამსახურის უფროსის წინაშე.

7. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის უფლებამოსილებები

II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წერილებს;

გ) ამზადებს პასუხებს მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ სამსახურის უფროსს;

დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საგრანტო პროექტების დაგეგმვასა და მართვას, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით აწარმოებს შესაბამის კვლევებს, შეისწავლის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას;

ვ) ახორციელებს გრანტის საფუძველზე დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს;

ზ) საჭიროების შემთხვევაში გეგმავს და უზრუნველყოფს ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარებას, ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარებას, შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროექტებს;

თ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს უსკოს მიერ მიღებული აქტების ვიზირებას;

ი) ასრულებს სხვა დავალებებს.

8. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

1. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შემდგომში სპეციალისტი) არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით, უსკოს რეგლამენტით და სამუშაოთა აღწერილობით მასზე დაკისრებულ ამოცანებს;

2. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უსკოს თავმჯდომარის მიერ;

3. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არის უსკოს თავმჯდომარის და სამსახურის უფროსის წინაშე.

9. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის უფლებამოსილებები

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს;

ბ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ სამსახურის უფროსს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საარჩევნო რეფორმების განხორციელებას;

დ) შეიმუშავებს ამომრჩევლებისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროექტებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და უზრუნველყოფს ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარებას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საგრანტო პროექტის შემუშავებაში;

ზ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროექტებს;

თ) ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლებას;

ი) ასრულებს სხვა დავალებებს.

10. დასკვნითი დებულებები

1. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის დებულებას ამტკიცებს უსკო განკარგულებით.

2. ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უსკოს განკარგულებით.

3. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.